გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება
#13

2010 წლის 8 ივლისი **ქ. გურჯაანი**

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის ნებართვის შემოღების, ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 22–ე მუხლის 1–ლი პუნქტის ,,ნ'' ქვეპუნქტის ,,რეკლამის შესახებ'' საქართველოს კანონის მე–6 მუხლის, ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონის 26' მუხლის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს კანონის 25–ე მუხლის საფუძველზე,

მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შემოღებულ იქნას გურჯაანის მუნიციპალიტეტში გარე რეკლამის განთავსების ნებართვა;

2. დამტკიცდეს ,,გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესი'' დანართი #1–ის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს გარე რეკლამის სანებართვო მოწმობის ფორმა დანართი #2–ის შესაბამისად.

4. სანებართვო მოწმობის ბოლო გვერდის უკანა კუთხეში დაიტანება სანებართვო მოწმობის დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს, დამკვეთის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელწოდება ინიციალებით, რეგისტრაციის ნომერი, სანებართვო მოწმობის ფორმის ინდივიდუალური (არანაკლებ 6 ციფრი).

5. ძალადაკარგულად იქნას ცნობილი გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებუილოს 2007 წლის 31 აგვისტოს #43 დადგენილება ,,გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების მარეგულირებელი ნორმების დადგენის შესახებ''.

6. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ
თავმჯდომარის მოადგილე **ალექსანდრე სირბილაშვილი**

დამტკიცებულია
გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2010 წლის 8 ივლისის #13 დადგენილებით
,,გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
გარე რეკლამის ნებართვის შემოღების,
ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო
მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ''

დანართი #1

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
გარე რეკლამის ნებართვის გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. გარე რეკლამის განთავსების ნებართვა გაიცემა აუქციონის წესით და მისი მიზანია გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთზე ან/და სხვა უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა მიანიჭოს ნებართვის მაძიებელს, რომელიც აიღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები და ვაჭრობის პროცესში ნებართვის გამცემს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.
2. ნებადართულია გურჯაანის მუნიციპ[ალიტეტის ტერიტორიაზე რეკლამის გავრცელება პლაკატების, სტენდების, შუქფირნიშების სტაბილური ტერიტორიული განთავსების სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესით;
3. გარე რეკლამა არ უნდა ჰგავდეს საგზაო ნიშნებსა და მაჩვენებლებს. მან არ უნდა გააუარესოს ამ ნიშნების, მაჩვენებლებისა და გეზის ხილვადობა. საფრთხე არ უნდა შეუქმნას ტრანსპორტისა და და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას. შენობა–ნაგებობებზე გავრცელებული რეკლამ არ უნდა აუარესებდეს მათ არქიტექტურულ ირსახეს და კონსტრუქციულად მდგრადი უნდა იყოს. ნებისმიერი სახით გავრცელებული გარე რეკლამა არ უნდა ამახინჯებდეს ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ საგანძურში შემავალ ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს.
4. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა უფლებამოსილია, განსაზღვროს გარე რეკლამის საშუალებების განთავსების ადგილები.
5. ნებართვის მაძიებელი შეიძლება იყოს და აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ამ პირთა გაერთიანებას.

6. აუქციონზე ნებართვის გაცემის საწყისი ფასი განისაზღვრება განთავსებული სავარაუდო სარეკლამო ფართის მიხედვით და შეადგენს 1 $მ^2$–ზე 2 ლარს.
7. გარე რეკლამის განთავსების საფასურს ნებართვის მფლობელი იხდის სანებართვო პირობებით გათვალისწინებულ ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, სანებართვო მოწმობაში მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

8. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა აფორმებს სათანადო საიჯარო ხელშეკრულებას ნებართვის მფლობელთან ,,სარეკლამო საშუალებების განთავსების უფლების იჯარით გაცემის შესახებ'', ნებართვაში მითითებული ვადითა და პირობებით და განუსაზღვრის ყოველთვიურ საიჯარო გადასახადს სარეკლამო ბანერების ფართის 1$მ^2$–ზე თვეში 7 ლარის ოდენობით.

9. ,,სარეკლამო საშუალებების განთავსების უფლების იჯარით გაცემის შესახებ'' ხელშეკრულების ფორმას ამტკიცებს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა ამ დებულები მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10. გარე რეკლამის განთავსების ნებართვის ვადას განსაზღვრავს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მაგრამ არა უმეტეს 3 წლისა.

მუხლი 2. აუქციონის ორგანიზება

1. აუქციონის ორგანიზებას ახორციელებს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა.
2. აუქციონი ცხადდება გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ან ნებართვის მაძიებლის ინიციატივით.
3. სანებართვო პირობები დგინდება გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ.
4. აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა შესახებ (მათ შორის, აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ) კონფიდენციალურია.
5. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა უზრუნველყოფს ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოში, აგრეთვე, შეხედულებისამებრ სხვა საინფორმაციუო საშუალებებში აუქციონის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას.
6. გურჯაანის მუნიციპლიტეტის გამგეობა უფლებამოსილია, გადაავადოს აუქციონის ჩატარება, რის შესახებაც ინფორმაცია ქვეყნდება ამ მუხლის მე–5 პუნქტის შესაბამისად აუქციონის ჩატარებამდე არანაკლებ 5 სამუშაო დღით ადრე.
7. გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
   ა) ნებართვის გამცემის დასახელებას;
   ბ) აუქციონის პირობებს და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებს;
   გ) ინფორმაციას იმ ზონის შესახებ, რომელშიაც გარე რეკლამის საშუალებების განთავსების ნებართვის გასაცემადაც ტარდება აუქციონი;
   დ) ნებართვის მფლობელისათვის ნებართვის გადაცემის ვადას;

ე) განაცხადის მიღების დაწყების, დამთავრების და აუქციონის ჩატარების თარიღს;

ვ) ,,ბეს'', ბიჯის სიდიდეს და აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასს, რომლის ოდენობას განსაზღვრავს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა;

ზ) განცხადების მიღების ადგილს (მისამართს) და საკონტაქტო პირის ტელეფონს;

თ) ყველა სხვა ინფორმაციას, რომელსაც ნებართვის გამცემი ჩათვლის საჭიროს.

8. აუქციონს ატარებს სააუქციონო კომისია, რომელშიც შედიან კომისიის თავმჯდომარე, აუქციონატორი, რეგისტრატორი, კომისიის მდივანი და სხვა წევრები. კომისია აუქციონის შედეგად ადგენს ნებართვის მაძიებლის გამარჯვების დამადასტურებელ ოქმს;

მუხლი 3. აუქციონში მონაწილეობის პირობები

1. აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღება მთავრდება დადგენილ დღეს და საათს. დადგენილი ვადის გასვლის შემეგ შემოსული განაცხადი არ მიიღება.
2. აუქციონი ტარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს. აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღება მიმდინარეობს აუქციონის ჩატარების დღის ჩათვლით და ნებართვის გამცემის მიერ დადგენილ საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც ოცდამეათე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე.
3. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე)_ აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

   ა) განაცხადს, რომელიც შეცავს ინფორმაციას მონაწილეზე და მონაწილის თანხმობას ნებართვის გამცემის მიერ დადგენილი პირობების შესრულებაზე;

   ბ) ,,ბე'' –ს და მონაწილის ბილეთის საფასუერის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს (ბილეთის და ,,ბე'' საფასურის გადახდა უნდა მოხდეს ნებართვის გამცემის მიერ მითითებულ ანგარიშზე) ;

   გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

   დ) ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

   ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
4. თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რეგისტრატორი მონაწილეზე აკეთებს შესაბამის ჩანაწერს ,,აუქციონის მონაწილეთა რეგსტრაციის ჟურნალში'', იტოვებს წარმოდგენილ დოკუმენტაციას და მონაწილეს გადასცემს აუქციონში მონაწილის ბილეთს. მონაწილის ბილეთით მონაწილე ღებულობს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

5. მონაწილეს უფლება აქვს ,,ბეს'' დაუკავებლად უარი აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადოს მხოლოდ განცხადების მიღების პრიოდში.
6. მონაწილეს შეიძლება უარი ეთქვას აუქციონში მონაწილეობაზე, თუ:
   ა) განაცხადის წარმომდგენი პირი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ შეიძლება ცნობილ იქნეს ნებართვის მაძიებლად, (სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ჩამორთმეული აქვს შესაბამის სანებართვო სფეროში საქმიანობის უფლება);
   ბ) დარღვეულია ამ მუხლის პირველი, მე–2, მე–3 და მე–4 პუნქტის მოთხოვნები.
   გ) ნებართვის გამცემის გადაწყვეტილება ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. აუქციონის ჩატარების წესი

1. აუქციონში მონაწილე აუქციონის დაწყებამდე შედის დარბაზში, სადაც ტარდება აუქციონი, აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთს და იღებს სპეციალურ დაფას, რომლის ნომერიც შეესაბამება მის ბილეთზე აღნიშნულ ნომერს.
2. აუქციონატორი ადარებს გაცემული ნომრიანი დაფების რაოდენობას შემოსული განცხადების რაოდენობასთან, რითაც აზუსტებს აუქციონში მონაწილეთა რაოდენობას.
3. აუქციონს ატარებს აუქციონატორი.
4. ვაჭრობის დაწყებისას აუქციონატორი აცხადებს აუქციონზე გამოტანილი ნებართვის დასახელებას, მის საწყისს ფასს, ბიჯს;
5. აუქციონზე ვაჭრობის დასაწყისად ითვლება ითვლება საწყისი ფასის გამოცხადების მომენტი. ვაჭრობის მიმდინარეობის დროს დაუშვებელია მონაწილეთა დარბაზში გადაადგილება.
6. აუქციონში მონაწილე, რომელსაც სურს საწყისი ფასიდან დაიწყოს ვაჭრობა, სწევს თავის დაფას (რაც ნიშნავს საწყის ფასზე ბიჯის დამატებას). აუქციონატორი აფიქსირებს მას და სთხოვს აუქციონში მონაწილეებს, გააგრძელონ ვაჭრობა, სანამ რომელიმე არ დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს. ფასის სამჯერ გამოცხადებისა და აუქციონატორის მიერ ჩაქუჩის დარტყმის შემდეგ გარე რეკლამის ნებართვა ითვლება გაცემულად იმ აუქციონის მონაწილეზე, ვინც აუქციონატორს ყველაზე მაღალი ფასი შესთავაზა.
7. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი. ოქმს ხელს აწერს აუქციონში გამარჯვებული და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე როგორც ნებართვის გამცემი.
8. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი ,,ბე'' არ დაუბრუნდება.
9. თუ აუქციონი არ შედგება იმ მიზეზით, რომ აუქციონის მონაწილეები, რომლებიც ესწრებიან აუქციონს, არ მიიღებენ მონაწილეობას სააუქციონო

ვაჭრობაში, შედგება ოქმი არშემდგარი აუქციონის შესახებ და აუქციონის მონაწილეებს შეტანილი ,,ბე'' არ დაუბრუნდებათ.

10. სააუქციონო კომისია აუქციონის ჩტარებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში ამზადებს მოხსენებით ბარათს, რომლის საფუძველზეც აუქციონში მონაწილე პირებს, რომლებმაც ვერ გაიმარჯვეს უბრუნდებათ მათ მიერ გადახდილი ,,ბე''–ს ოდენობა. მოხსენებით ბარათს ხელს აწერს სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

მუხლი 5. ოქმის გაფორმებისა და სანებართო მოწმობის გაცემის წესი

1. ოქმი უნდა შეიცავდეს ნებართვის გამცემის მიერ დადგენილ სანებართვო პირობებს, საფასურის გადახდის ვადებს და ამ დებულების მე–7 მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.
2. აუქციონში გამარჯვებულ პირს ,,ბე'' ეთვლება ანგარიშსწორებისას.
3. გარე რეკლამის განთავსების ნებართვა დადგენილი სანებართვო ფორმის სახით ნებართვის გამცემის მიერ ნებართვის მფლობელს გადაეცემა ოქმის ხელმოწერის მომენტისთანავე, ხოლო სანებართვო ფორმის მეორე ეგზემპლარი რჩება ნებართვის გამცემს.
4. სანებართვო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ნებართვის გამცემს მიმართავს წერილობითი განცხადებით სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის თაობაზე;
5. განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში ნებართვის გამცემი გასცემს სანებართვო მოწმობის დუბლიკატს და შესაბამისი ინფორმაცია შეაქვს უწყებრივ სანებართვო რეესტრში.
6. სანებართვო მოწმობის დუბლიკატს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მის დედანს.
7. ნებართვის მფლობელი უფლებამოსილია, სანებართვო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, მოწმობის აღდგენამდე განახორციელოს სანებართვო ქმედება შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის საფძველზე.

მუხლი 6. კონტროლი სანებართვო პირობების შესრულებაზე და ნებართვის მფლობელის პასუხისმგებლობა

1. კონტროლი სანებართვო პირობების შესრულებაზე ნებართვის გამცემის მიერ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ნებართვის გამცემი კონტროლს ახორციელებს მხოლოდ სანებართვო პირობების შესრულების შერჩევითი შემოწმებით.
3. ნებართვის გამცემის გადაწყვეტილება შერჩევითი შემოწმების განხორციელების შესახებ ადმინისტრაციული აქტია. ნებართვის გამცემი შერჩევითი შემოწმების

განხორციელებისას ვალდებულია ნებართვის მფლობელს წარუდგინოს არნიშნული ადმინისტრაციული აქტი.

4. ნებართვის გამცემის გადაწყვეტილებით შერჩევითი შემოწმების განხხორციელებაში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღონ სხვა ადმინისტრაციულიორგანოს წარმომადგენლებმა;
5. ნებართვის გამცემი ვალდებულია შერჩევითი შემოწმების დასრულების შემდეგ შეადგინოს შესაბამისი შემოწმების აქტი, რომელიც შეიტანებანებარტვის გამცემის მიერ სპეციალურად ამისათვის წარმოებულ რეესტრში.
6. გარე რეკლამის განთავსების სანებართვო პირობების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

დამტკიცებულია
გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 8 ივლისის #13 დადგენილებით ,გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის ნებართვის შემოღების, ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ"
დანართი #2

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
გარე რეკლამის განთავსების
სანებართვო მოწმობა

სანებართვო მოწმობის მიმღები _____

_____

სახელი, გვარი, პირადობის მოწმობისა და პირადი ნომრები

სანებართვო მოწმობის მფლობელის მისამართი _____

_____

სანებართვო მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება _____

_____

საფუძველი _____

სანებართვო მოწმობის ვადა _____

_____

სანებართვო მოწმობა შედგენილია 2 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა ნებართვის მიმღებს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობაში.

ნებართვის მიმღები

ნებართვის გამცემი
ბ.ა.
ნებართვა გაცემულია _____ წლის _____ _____

სანებართვო მოწმობას თან ერთვის სანებართვო პირობები, რომელიც მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

სანებართვო პირობები

_____
_____
_____
_____
_____